UNICEF საქართველო

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თემატური მოკვლევა *ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ*

1. ხელმისაწვდომობა:

1.1. რა სახის განსხვავება არსებობს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობის კუთხით დიდ ქალაქებსა და ქვემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის?

- ✓ **სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები ბავშვები;**
- ✓ **მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვები;**
- ✓ **ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები;**
- ✓ **ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვები;**
- ✓ **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ბავშვები.**

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით სკოლამდელი განათლების ხარისხი ძალიან დაბალია[1], შესაბამისად ზოგადად დაბალია *ხარისხიან* განათლებაზე ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლება ბავშვებისა და ოჯახებისთვის არის უფასო და საჯარო სკოლამდელ დაწესებულებებში მასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად ფარავს ადგილობრივი თვითმმართველობა, უთანასწორობა ხელმისაწვდომობის მხრივ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ სოფლად მცხოვრები ბავშვები, სოციალურად დაუცველი ბავშვები, ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ნაკლებად მონაწილეობენ სკოლამდელ განათლებაში[2] [3].

[1] პიტერსი, ი., ჰ. ჰულპია. (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. გაეროს ბავშვთა ფონდი https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-01/Pre-school_quality_study-ge-2.pdf

[2] პიტერსი, ი., ჰ. ჰულპია. (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. გაეროს ბავშვთა ფონდი

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019) მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა - საქართველო 2018. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/634/miksi-sakartvelo-2018-me-6-raundi-kvlevis-shedegebis-angarishi

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით (2018), საქართველოში 3-5 წლის ასაკის ბავშვების 81.8% დადის სკოლამდელ დაწესებულებაში. თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებებია:

- ✓ ქალაქსა (88.4%) და სოფელს შორის (70.2%)
- ✓ უღარიბეს 20%-სა (63.6%) და უმდიდრეს 20%-ს შორის (88.3%)
- ✓ ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით: ქართველი - 86.2% , აზერბაიჯანელი - 28.8%, სომეხი - 68.8%.

ასევე, კვლევა[4] ცხადყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები ხშირად სხვადასხვა ბარიერის გამო ვერ იღებენ სკოლამდელ განათლებას.

აღნიშნული ვითარება საგანგაშოა, რადგან მიუხედავად სახელმწიფოს მიერ კანონით აღიარებული საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრინციპისა, სკოლამდელ განათლებაში ნაკლებად მონაწილეობენ ყველაზე მოწყვლადი ბავშვები, რომლებისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხარისხიან სკოლამდელ განათლებას და განვითარების ხელშეწყობას. საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ სწორედ დაუცველი, სხვადასხვა არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები და მოწყვლადი ბავშვებისთვის ხარისხიან სკოლამდელ განათლებას აქვს განსაკუთრებულად პოზიტიური ეფექტი როგორც ბავშვის განვითარებასა და პოტენციალის რეალიზებაზე, ასევე მომავალში საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე[5]. ამდენად, ცალსახაა რომ მხოლოდ კანონით განსაზღვრული საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრინციპი არ არის საკმარისი ყველაზე მოწყვლადი ბავშვების სკოლამდელ განათლებაში ჩართვისთვის და საჭიროა შემუშავდეს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება პირველ რიგში მოწყვლადი ბავშვებისთვის.

1.2. რამდენად უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დაფინანსების არსებული მოდელი თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან

[4] პიტერსი, ი., ჰ. ჰულპია. (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. გაეროს ბავშვთა ფონდი

[5] Heckman, J.J. (2017). The Case of Investing in Disadvantaged Young Children. *In* Big Ideas for Children: Investing in Our Nation's Future. https://heckmanequation.org/www/assets/2017/01/Heckman20Investing20in20Young20Children.pdf

სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვისათვის და დაფინანსების როგორი მოდელია ყველაზე ოპტიმალური?

სკოლამდელი განათლების დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ხდება. თითოეული მუნიციპალიტეტი თავისი ბიუჯეტის ოდენობის, შესაძლებლობების და პრიორიტეტების მიხედვით ადგენს სკოლამდელი განათლების ბიუჯეტს, რაც განაპირობებს დიდ უთანასწორობას მუნიციპალიტეტებს შორის. შედეგად, იმის მიხედვით თუ სად ცხოვრობს ბავშვი, განსხვავდება მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯები და განათლების ხარისხი. მაგალითად, სკოლამდელი დაწესებულების სრულ შტატზე მომუშავე აღმზრდელის შრომის ანაზღაურება ზოგ მუნიციპალიტეტში 660 ლარს შეადგენს, ზოგ მუნიციპალიტეტში კი 130 ლარს[6]. ასევე, დიდი უთანასწორობა გვხვდება საგანმანათლებლო და განმავითარებელ რესურსზე (სათამაშო, საბავშვო წიგნები, ხარჯვადი საკანცელარიო და სახელოვნებო მასალა) ხელმისაწვდომობის მხრივ: ზოგიერთი მუნიციპალიტეტი ასეთ რესურსებზე წელიწადში ერთ ბავშვზე ხარჯავს 1 ლარს ან ნაკლებს, სხვები კი - 50-ჯერ მეტს. მკვეთრად უთანასწორო დაფინანსების პირობებში ბავშვები თანაბრად ხარისხიან განათლებას ვერ იღებენ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან სკოლამდელი განათლებისთვის გამოიყოს მიზნობრივი ტრანსფერები მუნიციპალიტეტებისთვის. ამგვარი მხარდაჭერის გარეშე სისტემა ვერ დაძლევს უთანასწორობას ხარისხისა და ხელმისაწვდომობის კუთხით.

1.3. რამდენად საკმარისია სააღმზრდელო დაწესებულებების რაოდენობა, იმისათვის, რომ მიღწეული იქნას ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობა სკოლამდელ განათლებაზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით?

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რაოდენობა არ არის საკმარისი. ქალაქებში საბავშვო ბაღებში ხშირად ორჯერ მეტი ბავშვია ჩარიცხული, ვიდრე ეს დაშვებულია კანონით. ბევრ სოფელში ფიზიკურად არ არსებობს საბავშვო ბაღი. იმისათვის, რომ მოხდეს ჯგუფებში

[6] National Assessment and Examination Center (2018). *Preschool Education Quality Study*. Primary Analysis, Technical Report.

ბავშვების მაქსიმლაური რაოდენობის შესახებ სტანდარტის დაცვა და პარალელურად სკოლამდელი განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების ჩართვა სკოლამდელ განათლებაში, საჭიროა შეუმშავდეს სახელმწიფო პოლიტიკა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხზე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მოწყვლადი ბავშვების ჩართვას სკოლამდელ განათლებაში. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკა შემუშავდეს მუნიციპალიტეტებთან, სკოლამდელ დაწესებულებებთან, ასევე ადგილობრივ თემებთან მჭიდრო კონსულტაციის საფუძველზე და ემყარებოდეს საერთაშორისო გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას. ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ახალი საჯარო საბავშვო ბაღების მშენებლობის გარდა, შეიძლება განხილული იყოს სხვა გადაჭრის გზებიც (მათ შორის უფრო ხარჯთეფექტური), მაგ.: კერძო სექტორის ზრდა, ალტერნატიული სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამები (ნახევარდღიანი, სათემო ბაღები, ე.წ. ტყის ბაღები და ა.შ.).

2. მართვა და პერსონალი

2.1. რამდენად ეფექტიანია სახელისუფლებო ორგანოებს შორის კოორდინაცია ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიწოდებისათვის?

ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის კოორდინაციის მექანიზმები არ არსებობს, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების აღსრულებაზე. სამართლებრივი დოკუმენტების გაზიარების გარდა პრაქტიკულად არ ხდება მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა (კონსულტირება, ტრენინგი, ადამიანური რესურსის კომპეტენციების განვითარება), რაც ხელს უშლის კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების დროულად აღსრულებას მუნიციპალიტეტების დონეზე. ძალიან მნიშვნელოვანია, ცენტრალურ დონეზე არსებობდეს ერთი მაკოორდინირებელი უწყება, რომელიც: 1. რეგულარულად მოახდენს კანონისა და კანონქვემდებარე აქტების აღსრულებასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებს შორის კომუნიკაციასა და კოორდინაციას; 2. უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას თითოეულ მუნიციპალიტეტთან და მათ მხარდაჭერას კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობისთვის. 3. გაუწევს მონიტორინგს კანონისა და სტანდარტების აღსრულებას, როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალიტეტის დონეზე.

2.2. რამდენად ეფექტიანია სკოლამდელი განათლების სისტემის მართვის დეცენტრალიზებული ფორმა?

სკოლამდელი განათლების მართვის დეცენტრალიზებული ფორმა ადგილობრივ დონეზე საჭიროებების შესაბამისი ეფექტიანი პოლიტიკისა და სერვისების შექმნის შესაძლებლობას ქმნის. თუმცა, საქართველოში არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების შექმნას ადგილობრივ დონეზე და ქმნის დიდ უთანასწორობას ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ, რადგან:

1. მუნიციპალიტეტის დონეზე ანგარიშვალდებულების ძლიერი მექანიზმები არ არსებობს;
2. არ ხდება მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ცენტრალური ბიუჯეტიდან, რათა შეძლონ სტანდარტების მოთხოვნების შესრულება.

2.3. რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია დაწესებულების ავტონომია და იურიდიული სტატუსი (დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტი თუ მუნიციპალური გაერთიანებების/სააგენტოების/ცენტრების განყოფილებები) დაწესებულებების ეფექტიანი მართვისა და ხარისხიანი განათლების მიწოდებისათვის?

სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, სკოლამდელ დაწესებულებებს ჰქონდეთ გარკვეული ავტონომია. საქართველოში ბოლო წლებში დანერგილი მოდელით დაწესებულებებს არანაირი ავტონომია არ გააჩნიათ. სკოლამდელი დაწესებულებები რეგისტირებული არიან მმართველი ორგანოს (მაგ. ე.წ. „ბაგა-ბაღების გაერთიანება“) ფილიალებად და არ აქვთ ისეთი უფლებები, როგორიცაა მაგალითად, შესყიდვების განხორციელება საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულების ავტონომიურობის არარსებობა უარყოფითად აისახება სკოლამდელი განათლების ხარისხიზე. მაგალითად შესყიდვების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იძულებულია ყველა ბაღისთვის ერთიანად გამოაცხადოს ტენდერი ნებისმიერ ტიპის პროდუქციაზე, რაც ძალიან პრობლემატურია საგანმანათლებლო რესურსების შემთხვევაში, რადგან როგორც წესი ასეთი ტენდერების გზით ხდება დაბალი ხარისხის, ხშირად არასაჭირო, ასაკობრივად შეუსაბამო რესურსის შეძენა, რომელიც არ არის მორგებული სხვადასხვა სკოლამდელი დაწესებულების ინდივიდუალურ

პროგრამებსა და გეგმებზე. ამ გზით შეუძლებელია ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი განმავითარებელი რესურსის შეძენა. ამ მხრივ, პოზიტიურ გამონაკლისს წარმოადგენს თბილისი, სადაც სკოლამდელი დაწესებულებები დამოუკიდებელ ააიპ-ებად არიან რეგისტრირებულნი და თითოეულ მათგანს ეძლევა გარკვეული ბიუჯეტი საგანმანათლებლო რესურსების დამოუკიდებლად შესყიდვისთვის. სკოლამდელი დაწესებულებების დამოუკიდებელ ააიპ-ებად ჩამოყალიბება კანონის მოთხოვნაც არის, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა დღესაც დარღვეულია თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში. ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა თავი შეიკავა კანონთან შესაბამისობაში მოეყვანა დაწესებულებების იურიდიული სტატუსი ორი მიზეზის გამო: 1. შესაძლო ხარჯების ზრდა, თუკი თითოეულ დაწესებულებას დასჭირდება შესყიდვის სპეციალისტი და ბუღალტერი და 2. ბაღებისთვის ამ უფლების დაბრუნებამ შესაძლოა გაზარდოს კორუფციის რისკები. თუმცა ორივე მიზეზი უსაფუძვლოა, თუკი მიღებული იქნება შესაბამისი ზომები: 1. მართვის ორგანოს („გაერთიანება“, „სააგენტო“) შესყიდვების სპეციალისტს და/ან ბუღალტერს დაევალებათ ბაღების მხარდაჭერა შესყიდვების პროცესში (ხელშეკრულება შესაძლოა გაფორმდეს ბაღსა და სპეციალისტს შორის არასრულ განაკვეთზე) და 2. განხორციელდება ბაღების მიერ შესყიდვების რეგულარული მონიტორინგი.

2.4. რამდენად აქვს საგანმანათლებლო პერსონალს პროფესიული განვითრების შესაძლებლობა და რა უნდა გაკეთდეს აღმზრდელთა პროფესიული ზრდისათვის?

საგანმნათლებლო პერსონალს იშვიათად აქვს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილი ძალიან მცირე რესურსს ხარჯავს ბაღების თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. იმ შემთხვევაში თუკი მუნიციპალიტეტი ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს ამ მიმართულებით (მაგ. ტრენინგის დაფინანსება), ხშირად ტრენინგი ხანმოკლეა (რამდენიმე დღე) და არ აქვს რეალური პოზიტიური შედეგი პედაგოგიურ პრაქტიკაზე. ასევე, ხშირ შემთხვევაში ტრენინგის ხარისხიც დაბალია, რადგან არ არსებობს ტრენინგის მიმწოდებელთა აკრედიტაციის სისტემა (მხოლოდ „აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ მოდულისთვის“ შეიქმნა მსგავსი სისტემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ). კიდევ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომმია

პროფესიული განვითარება ბაღების სხვა თანამშრომლებისთვის (მაგ. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი, დირექტორი/გამგე, აღმზრდელის თანაშემწე და სხვა). სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი დაწესებულებების დონეზე ყველა ძირითადი ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო (ბავშვთან მომუშავე) პერსონალს ჰქონდეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

3. საგანმანათლებლო პროცესი

3.1. არის თუ არა დაწესებულებებში არსებული მეთოდოლოგიური რესურსი (პროგრამა, კურიკულუმი, სახელმძღვანელოები და გზამკვლევები პრაქტიკოსებისათვის და სხვა) საკმარისად მრავალფეროვანი იმისათვის, რომ აღმზრდელებმა შეძლონ საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესის ხარისხიანად წარმართვა?

ბოლო წლებში შემუშავდა მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური რესურსი, თუმცა ხშირად სკოლამდელ დაწესებულებებს ხელი არ მიუწვდებათ მათზე. იმ შემთხვევაშიც, როცა რესურსები ბაღში ხელმისაწვდომია, ხშირად არ ხდება მათი სწორად გამოყენება, რადგან აღმზრდელებს არ ჰქონიათ საშუალება ამა თუ იმ პროგრამას, რესურსს სპეციალისტის დახმარებით ან ტრენინგის საშუალებით გაცნობოდნენ.

3.2. რამდენად პასუხობს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები ხარისხიანი სწავლებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს?

სკოლამდელი დაწესებულებების დიდ ნაწილში:

- ✓ არ არის ბავშვის ზომის უსაფრთხო ავეჯი საკმარისი რაოდენობით
- ✓ გარემო არ არის მორგებული ბავშვსა და მის საჭიროებებზე
- ✓ ეზოები არ არის უსაფრთხო, დამონტაჟებულია ძველი, საფრთხისშემცველი ატრაქციონები
- ✓ არ არის ასაკობრივად შესაბამისი, ხარისხიანი მრავალფეროვანი წიგნები

- ✓ იშვიათად ხდება სათამაშოებისა და სხვა განმავითარებელი რესურსის შესყიდვა; როდესაც შესყიდვა ხდება, მიღებული რესურსი ხშირად დაბალი ხარისხისაა, ასაკობრივად შეუსაბამოა და არ უწყობს ხელს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას.
- ✓ არ ხდება სახელოვნებო და საკანცელარიო რესურსის მუდმივი განახლება.[7]

3.3. როგორ ხდება ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესებისა და სხვა თავისებურებების გათვალისწინება დაწესებულების საქმიანობის, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესის, დაგეგმვისა და წარმართვისას?

აღმზრდელების უმრავლესობას არ აქვს საჭირო კომპეტენციები, რომ ბავშვის ინდივდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები გაითვალისწინონ; ასევე არ აქვთ რესურსი, რომელიც დაეხმარებათ საგანმანათლებლო პროცესი მოარგონ ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

3.4. უნდა არსებობდეს თუ არა ქვეყანაში ერთიანი პროგრამა/კურიკულუმი/სასწავლო გეგმა, რომლის გამოყენების ვალდებულებაც ექნება ყველა დაწესებულებას?

საქართველოში უკვე არსებობს სავალდებულო სახელმწიფო სტანდარტები, რომელიც განსაზღვრავს იმ ფუნდამენტურ საკითხებს, რომელიც აუცილებელია ხარისხიანი განათლებისთვის. პროგრამის/კურიკულუმის დონეზე მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლს ხდის ადგილობრივ თემზე უკეთ მორგებული იყოს საგანმანათლებლო პროცესი იმ ჩარჩოს ფარგლებში, რომელსაც სახელმწიფო სტანდარტები ადგენს. ამავდროულად, მრავალფეროვანი მიდგომების წახალისებისა და ეფექტიანი დანერგვისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია სკოლამდელი დაწესებულებების ავტონომია და ინვესტირება აღმზრდელებისა და ადმინისტრაციის პროფესიული კომპეტენციების განვითარებაში.

[7] პიტერსი, ი., ჰ. ჰულპია. (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. გაეროს ბავშვთა ფონდი.

4. მარეგულირებელი დოკუმენტები

4.1. გთხოვთ, ჩამოთვალოთ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვისათვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების თანაბრად მიწოდებას.

- განისაზღვროს ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მაკოორდინირებელი უწყება და მისი უფლებამოვალეობები, მათ შორის: კანონის, სახელმწიფო სტანდარტების/ტექ.რეგლამენტებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესრულების მონიტორინგი (ხელმისაწვდომობის და ხარისხის ძირითადი ინდიკატორების თაობაზე), ანალიზი და პოლიტიკის დაგეგმვა; ასევე, მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა კანონისა და კანონქვემდებარე აქტების აღსრულების პროცესში.
- დარგის სპეციალისტებთან და პრაქტიკოსებთან კონსულტაციების გზით დაზუსტდეს/ჩასწორდეს საფეხურების აღმნიშვნელი ტერმინები და მათი მნიშვნელობა - „ადრეული“, „სკოლამდელი“, „სასკოლო მზაობა“.
- მუხლი 7- მთავრობის უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს დაემატოს ნორმატიული აქტის დამტკიცება (განათლების სამინისტროს წარდგინებით) ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესახებ (აღნიშნული დოკუმენტი უკვე შემუშავებული აქვს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს).
- მუხლი 8 - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს დაემატოს: ენობრივი უმცირესობებისთვის ეფექტიანი ბილინგვური და მულტილინგვური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა.
- მუხლი 8 - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს დაემატოს ნორმატიული აქტის მომზადება ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესახებ (აღნიშნული დოკუმენტი უკვე შემუშავებული აქვს სამინისტროს).
- მუხლი 10, მე-3 პუნქტი - დაემატოს მუნიციპალიტეტის ვალდებულება, შექმნას სკოლამდელი განათლების დაწესებულებების თანამშრომელთა (არა მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგები) უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა და

უზრუნველყოს დაფინანსება ყოველწლიური ბიუჯეტიდან, სკოლამდელი დაწესებულებების წლიური სახელფასო ფონდის მინიმუმ 1%-ის ოდენობით.

- მუხლი 13- დაემატოს პუნქტი, რომელიც საშუალებას მისცემს თვითმმართველობებს დააფინანსონ (სრულად ან ნაწილობრივ) დამოუკიდებელი არამომგებიანი არაკომერციული იურიდიული პირები (ე.წ. „სათემო საბავშო ბაღები“) - ასეთი ალტერნატიული მიწოდების მოდელის დაშვება საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ხელმისაწვდომობა შედარებით მოკლე ვადებში. ამ შემთხვევაშიც ამ სკოლამდელ დაწესებულებებზეც გავრცელდება კანონისა და სტანდარტების ის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება ავტორიზაციას, ასევე სახელმწიფო ფინანსების ხარჯვას.
- მუხლი 21 - საჯარო დაწესებულებაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა (9 საათი) ამოღებულ იქნას, რადგან აღნიშნული ჩანაწერი ხელს უშლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ალტერნატიული საგანმანათლებლო პროგრამების გზით. მსგავსი წარმატებული პრაქტიკა საქართველოში ბევრ სოფელში არსებობს: იქ, სადაც სტანდარტული საბავშვო ბაღის შენობა არ არსებობს და ხდება ნახევარდღიანი პროგრამების მიწოდება სხვადასხვა შენობაში (სკოლა, მუნიციპალიტეტის რომელიმე შენობა და ა.შ.), რომელიც მორგებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვების საჭიროებებზე.
- მუხლი 21. პუნქტი „3“ – 3 საათი არის სასკოლო მზაობის პროგრამის <u>მინიმალური</u> ხანგრძლივობა (იმ შემთხვევაში, როცა პროგრამა ხორციელდება მაგ. სკოლაში), ტიპური საბავშვო ბაღებში ბავშვები მთელ დღეს ატარებენ და შესაბამისად პროგრამა სრულდღიანია, ამიტომ დებულება მცდარი გამოდის, თუ არ დაზუსტდება, რომ 3 საათი არის მინიმალური დრო. ამავდროულად, სხვადასხვა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უმჯობესია, განისაზღვროს კვირის და არა დღის განმავლობაში მინიმალური საათების რაოდენობა.
- განისაზღვროს ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა და ჯგუფის თანამშრომლებთან თანაფარდობა 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვისაც (მუხლი 22)
- მუხლი 22-ში დაზუსტდეს, რომ ჯგუფში აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ ერთი აღმზრდელ-პედაგოგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თანაფარდობის დაცვისთვის მეორე პერსონალი შეიძლება იყოს აღმზრდელ-პედაგოგი ან აღმზრდელი.

- მუხლი 27 - განისაზღვროს ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ვალდებულება, რათა მიზნობრივი ტრანსფერების საშუალებით მუნიციპალიტეტებმა შეძლონ სახელმწიფო სტანდარტების შესრულება;

4.2. რა ნაბიჯები უნდა გადადგას პარლამენტმა, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, იმისათვის რომ დაიწყოს ავტორიზაციის პროცესი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური, არგუმენტირებული წინადადებები.

ა) უახლოეს პერიოდში უნდა დამტკიცდეს ინფრასტრუქტურის ტექ. რეგლამენტი და ავტორიზაციის წესი.

ბ) დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში მულტიდისციპლინური გუნდის მიერ (შესაბამისი დარგობრივი სფეროს ექსპერტები) უნდა მოხდეს თითოეული მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებისთვის საინფორმაციო სესიებისა და ტრენინგის ჩატარება ავტორიზაციის წესის შესახებ, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების/ექსპერტების გადამზადება სტანდარტების შინაარსთან და მათი აღსრულების შემოწმებასთან დაკავშირებით.

გ) ავტორიზაციის პირველი წლის განმავლობაში რეკომენდებულია, ცენტრალურ დონეზე არსებობდეს ექპერტთა გუნდი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონსულტირებას გაუწევს მუნიციპალიტეტებს ავტორიზაციის პროცესში.

4.3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი ინფორმაცია/მოსაზრებები „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით (მუხლები, რომლებიც წარმატებით აღსრულდა/ვერ აღსრულდა და მიზეზები);

ამ ეტაპზე არ არის აღსრულებული კანონის დიდი ნაწილი. მათ შორის შემდეგი მუხლები:

1. მუხლი 4, 2 პუნქტი - სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვისთვის არ არის ხელმისაწვდომი.
2. მუხლი 6. - ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები არ არის აღსრულებული მუნიციპალიტეტების და დაწესებულებების მიერ; არ არსებობს შესაბამისი მხარდამჭერი სისტემა (მაგ. თემატური ტრენინგ-კურსები პერსონალის გადამზადებისთვის)

3. მუხლი 7, „ი“ მთავრობას არ აქვს დამტკიცებული მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულებათა რეესტრის წარმოების წესი და ამ რეესტრში შესატანი მონაცემებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი.
4. მუხლი 22 - არ არის დაცული ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა და თანაფარდობა.
5. ჯერ-ჯერობით სკოლამდელ დაწესებულებებში არ გაჩენილა „აღმზრდელ-პედაგოგის“ პოზიცია, რადგან 2020 წლის 30 ივნისამდე არ არსებობდა აღმზრდელ-პედაგოგად გადამზადების მექანიზმი (დამტკიცებული იყო ერთი ტრენინგ-მოდული, თუმცა არ იყო განსაზღვრული ტრენინგის მიწოდებაზე უფლებამოსილი პირი)
6. მუხლი 28, 1 პუნქტი „ა“ - მთავრობის მიერ ავტორიზაციის წესი არ არის დამტკიცებული (უნდა დამტკიცებულიყო 2017 წლის 1 ოქტომბრამდე)
7. მუხლი 28, 1 პუნქტი „ვ“ - მთავრობის მიერ ინფრასტრუქტურის ტექ. რეგლამენტი არ არის დამტკიცებული (უნდა დამტკიცებულიყო 2017 წლის 1 ოქტომბრამდე)
8. მუხლი 28, 2 პუნქტი - მთავრობის მიერ ნორმატიული აქტი აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების საბაზისო ზღვრული ოდენობის შესახებ არ არის დამტკიცებული - (უნდა დამტკიცებულიყო 2017 წლის 1 ოქტომბრამდე)